

**საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო**

ქ. ბათუმი

06 ოქტომბერი, 2020 წელი

და დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 04-01/07

**სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში დისტანციური,
ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესის დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 47⁷ მუხლისა და სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის წესდების მე-9 მუხლის საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში დისტანციური, ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესი, თანახმად დანართისა.
2. დადგენილება განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.
3. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე

მ. ჭიჭილეიშვილი

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში დისტანციური, ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში დისტანციური, ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესი (შემდგომში - „წესი“) ადგენს სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში (შემდგომში - „უნივერსიტეტი“ ან „ბხსუ“) საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი პირებისათვის (გარდა პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული სტუდენტის) თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სასწავლო პროცესის ან მისი ნაწილის წარმართვის წესს, რომელიც არ ითვალისწინებს განსაზღვრულ ადგილზე სტუდენტისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებასა და საგანმანათლებლო პროცესის ადმინისტრირებაში ჩართული პერსონალის (შემდგომში - „პერსონალი“) ერთდროულად ყოფნას.
2. ელექტრონული სწავლება ითვალისწინებს სასწავლო პროცესის წარმართვას ინტერნეტზე, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებული საშუალებებით, რომელიც აუცილებელია საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და წარმართვისათვის, სასწავლო მასალების მიწოდებისათვის, სტუდენტის სტუდენტთან ან/და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პერსონალთან კომუნიკაციისათვის, კონსულტირებისთვის, სტუდენტთა პროგრესის მონიტორინგისთვის და სხვა მიზნებისთვის.
3. ელექტრონული სწავლება ხორციელდება ასინქრონული ან/და სინქრონული კომუნიკაციის ფორმით. ასინქრონული კომუნიკაცია გულისხმობს ისეთ ინტერაქციას, როდესაც ინფორმაციის გამგზავნი და მიმღები ერთსა და იმავე დროს არ ახდენენ კომუნიკაციას. სინქრონული გულისხმობს კომუნიკაციის განხორციელებას ერთსა და იმავე დროს.
4. დისტანციური, ელექტრონული სწავლების საფუძველზე სასწავლო პროგრამის შედეგების დამლევით პირს ენიჭება შესაბამისი კვალიფიკაცია და გაიცემა ამ კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი.

მუხლი 2. ელექტრონულ პლატფორმებზე სასწავლო კომპონენტის ამოქმედება

1. უნივერსიტეტში ელექტრონული ასინქრონული კომუნიკაციისათვის გამოყენებული შეიძლება იყოს ბხსუ-ს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სერვისის სისტემა, პერსონალის კორპორატიული ან პირადი ელექტრონული ფოსტა.
2. ელექტრონული სწავლების სინქრონული კომუნიკაციისათვის გამოყენებულ იყოს ონლაინ პლატფორმა zoom. სინქრონული კომუნიკაციის წარმართვისას ლექტორს შეუძლია ჩაიწეროს ონლაინლექცია და google drive-ზე ატვირთვით ხელმისაწვდომი გახადოს სალექციო მასალაზე წვდომა.

3. ასინქრონული კომუნიკაციისას სასემინარო, სამუშაო ჯგუფებისა და პრაქტიკული მეცადინეობების ინტერაქტიული აქტივობები განხორციელდეს zoom-ის მეშვეობით ცხრილით მითითებულ დროს, ყოველკვირეული ლექციის სასწავლო რესურსის, აუდიო ან ვიდეოჩანაწერის მიწოდებით (google drive-ზე ატვირთვის საშუალებით). ელექტრონული სწავლების ასინქრონული კომუნიკაციისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნას აუდიო-ვიდეო ლექციების, ვიდეოინსტრუქციების ფორმატი.
4. სხვადასხვა პრაქტიკული მეცადინეობების დისტანციური სწავლებისათვის, საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით, დასაშვებია ელექტრონული კომუნიკაციის დამატებით სხვა პლატფორმებისა და ფორმების გამოყენებაც.
5. სასწავლო კურსების შეფასების სისტემა განხორციელდეს სილაბუსითა და საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით. შეფასების ფორმებისა და მეთოდების ცვლილებები დასაშვებია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან რეკომენდაციების საფუძველზე.

მუხლი 3. პროცესის დაგეგმვა ელექტრონული სწავლებისათვის

1. უნივერსიტეტის ფაკულტეტები პროგრამების სპეციფიკის გათვალისწინებით განსაზღვრავენ ელექტრონული სწავლების ფორმატსა და გამონაკლის შემთხვევაში ელექტრონული პლატფორმის შერჩევას ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმებით.
2. სასწავლო პროცესის დისტანციური საშუალებებით წარმართვისას ფაკულტეტებმა და დეპარტამენტებმა იხელმძღვანელონ ევროპის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების ასოციაციის (ENQA) მიერ 2018 წელს შემუშავებული ელექტრონული სწავლების შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო პრინციპებით.

მუხლი 4. ელექტრონული სწავლების ადმინისტრირება

1. დისტანციურ სასწავლო პროცესებში ელექტრონული კომპონენტების გამოყენების კოორდინირების მიზნით იქმნება ელექტრონული სწავლების მართვის ტექნიკური უზრუნველყოფის ჯგუფი: ვიცეკანცლერი, ტექნიკური შემსრულებელი აიტმენეჯერი, ელექტრონული ჟურნალის კოორდინატორი (ჯგუფის დამატებითი წევრები განისაზღვრება რექტორის სამართლებრივი აქტით).
2. ელექტრონული სწავლების მართვის ჯგუფის საქმიანობა განისაზღვროს:
 - ა) სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვის უზრუნველყოფა;
 - ბ) აკადემიური პერსონალისა და სტუდენტებისათვის ტექნიკურ საკითხებში კონსულტაციის გაწევა;
 - გ) ელექტრონული სწავლებისთვის შემუშავებული მასალის ატვირთვისა და დაარქივების პროცესში აკადემიური პერსონალის მხარდაჭერა და ტექნიკური დახმარება;
 - დ) სასწავლო პროცესი განხორციელდეს დადგენილი და შეთანხმებული ცხრილების მიხედვით, რომელიც ატვირთულია ბხსუ-ს ვებგვერდზე;
 - ე) ელექტრონული სწავლების/სასწავლო პროცესის ყოველკვირეულ შემოწმებას ახდენს მართვის ტექნიკური ჯგუფი. აიტმენეჯერს/ჯგუფის სპეციალისტს ევალება დეპარტამენტების ხელმძღვანელებისათვის ყოველკვირეული ინფორმაციის მიწოდება მიმდინარე სასწავლო პროცესის შესახებ. დეპარტამენტების ხელმძღვანელები პროფესორ-მასწავლებელთა მიერ დისტანციურად ჩატარებული

აქტივობების შესახებ ყოველკვირეულ ანგარიშს წარადგენენ ბხსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში.

მუხლი 5. სტუდენტის უფლებები და მოვალეობები

უნივერსიტეტის სტუდენტს უფლება აქვს:

- ა) მიიღოს ინფორმაცია უნივერსიტეტში ელექტრონული სწავლების შესახებ;
- ბ) მიიღოს კვალიფიციური კონსულტაცია უფლებამოსილი პირისაგან სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე;
- გ) უნივერსიტეტის წინაშე ხელშეკრულებითა და უნივერსიტეტის შესაბამისი შიდა აქტებით გათვალისწინებული პირობების საფუძველზე ჩაერთოს უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებულ ელექტრონულ სწავლების პროცესში და ისწავლოს ყველა ის საგანი, რომელიც გათვალისწინებულია აკადემიური რეგისტრაციით;
- დ) გონივრულ ვადაში აცნობოს შესაბამისი ფაკულტეტის ადმინისტრაციას ელექტრონული სწავლების პროცესში წარმოქმნილი სირთულეების შესახებ.

მუხლი 6. პროფესორის უფლებები და მოვალეობები

1. უნივერსიტეტის პროფესორს უფლება აქვს:

- ა) მიიღოს ინფორმაცია უნივერსიტეტში ელექტრონული სწავლების შესახებ;
- ბ) მიიღოს კვალიფიციური კონსულტაცია ფაკულტეტზე შექმნილი ელექტრონული სწავლების მართვის ჯგუფისგან;
- გ) მიიღოს ზუსტი ინფორმაცია სასწავლო განრიგის მიხედვით გამოცხადებული მის სასწავლო კურსზე დარეგისტრირებული სტუდენტების შესახებ;

2. პროფესორ-მასწავლებლები ვალდებული არიან:

- ა) უნივერსიტეტის წინაშე ხელშეკრულებითა და უნივერსიტეტის შესაბამისი შიდა აქტებით გათვალისწინებული პირობების საფუძველზე ჩაერთოს სწავლების ელექტრონული კომპონენტის (როგორც სინქრონული, ისე ასინქრონული) დანერგვის პროცესში;
- ბ) პროფესორ-მასწავლებელი ვალდებულია დაგეგმოს თავისი ლექცია-სემინარები ზუმში, ID და პაროლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გაუზიაროს თავის ჯგუფს მართვის ელექტრონული სისტემის ან ელფოსტის, გამონაკლის შემთხვევაში სოციალური ქსელის (მესენჯერის) შეტყობინებით;
- გ) აკადემიური და მოწვეული პერსონალი ვალდებულია უზრუნველყოს სასწავლო კურსის ელექტრონული სასწავლო მასალების (ლექციის ვიდეო ან აუდიო ჩანაწერი ან ტექსტური მასალა ან power point პრეზენტაცია ხმით ან ხმის გარეშე და საკითხავი ლიტერატურა, ტექსტური, აუდიო ან ვიდეო მასალა, დავალებები და სხვ.) მომზადება და მიწოდება - სილაბუსები და სასწავლო რესურსის ატვირთვა ელექტრონულ ჟურნალში, ან ელექტრონული ფოსტის ან გამონაკლის შემთხვევაში სოციალური ქსელების მეშვეობით;
- დ) უზრუნველყოს სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით სტუდენტთა ცოდნის შემოწმება-შეფასება ელექტრონული ფორმით, მათ შორის ასახოს საკვალიფიკაციო ნაშრომზე მუშაობის პროცესი;
- ე) სასწავლო გეგმაში კონკრეტული ცვლილებების შემთხვევაში შეატყობინოს ბხსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს და ელექტრონული სწავლების მართვის ჯგუფს.

მუხლი 7. სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა ვალდებულებები

ა) ლექციების აუდიო/ვიდეოჩანაწერები და ონლაინ სასწავლო შეხვედრების ამსახველი ვიდეო/აუდიო/ფოტომასალა, მათ შორის, ე.წ. „სქრინშოთი“, წარმოადგენს პერსონალურ მონაცემს და ეს გათვალისწინებული უნდა იყოს როგორც სტუდენტების, ასევე აკადემიური პერსონალის მიერ მათი მოსმენისას და შენახვისას;

ბ) სტუდენტებთან კომუნიკაცია განხორციელდეს მათი საჭიროებების გათვალისწინებითა და მათი პირადი სივრცის პატივისცემის პრინციპის დაცვით, რადგან ელექტრონული (ონლაინ) სწავლებისას განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხი;

გ) ელექტრონული ფორმატით მომზადებული სალექციო მასალები (ვიდეო/აუდიო ლექციები, სალექციო პრეზენტაციები და სხვ.) გამოყენებულ უნდა იქნას მხოლოდ ამ საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო საგნებზე რეგისტრირებულ სტუდენტთა მიერ და მხოლოდ სასწავლო მიზნებისათვის, დანიშნულებისამებრ -დაუშვებელია მათი გაზიარება არაუფლებამოსილი მესამე პირებისათვის და მათი საჯაროდ ხელმისაწვდომად ქცევა, მათ შორის, სოციალური ქსელების მეშვეობით სხვადასხვა ჯგუფებში. ყველა ასეთი შემთხვევით შესაძლოა, შეიქმნას „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის დარღვევის პრეცედენტი.

მუხლი 8. კონფიდენციალურობა

ონლაინ-სწავლების ამსახველი მასალა (ფოტო, ვიდეო გამოსახულება) წარმოადგენს პირის პერსონალურ მონაცემებს, რაც უნდა იქნეს გათვალისწინებული მათი გასაჯაროებისას.

პროცედურა წარმოადგენს ბხსუ-ს შიდა ნორმატიულ დოკუმენტს და არ ექვემდებარება მესამე მხარისთვის წარდგენას, გარდა აუდიტორებისა შიდა, გარე და ინსპექციური შემოწმების დროს.